თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

ფაკულტეტი	ფარმაციის
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ფარმაციის საბაკალავრო პროგრამა
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	ფარმაციის ბაკალავრი
პროგრამის სტატუსი. შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული. გადაწყვეტილება № 198. 07.11. 2019
პროგრამის ხელმძღვანელი	პროფესორი დალი ბერაშვილი
პროგრამის მოცულობა	240 ECTS კრედიტი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის მიზნები	➢ *სტუდენტს მისცეს ცოდნა:* ✓ ფარმაცევტული მეცნიერებების ბიოსამედიცინო და ქიმიური საფუძვლების შესახებ; ✓ ფარმაცევტული საქმიანობის საბაზისო პრინციპების შესახებ. ➢ *სტუდენტს გამოუმუშაოს:* ✓ ფარმაცევტული ზრუნვის განხორციელებაში ჩართვის უნარი (კომპეტენციის ფარგლებში); ✓ ფარმაცევტული ანალიზის ჩატარების და დასკვნის გაკეთების უნარი; ✓ ფარმაცევტული პროდუქციის წარმოებაში მონაწილეობის უნარი.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა/-ები	საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობებია სრული ზოგადი განათლების ატესტატი, საქართველოს მოქალაქეებისათვის – ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დამადასტურებელი სერთიფიკატი. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მოიცავს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებულ შედეგებს, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საგნების პრიორიტეტების, მათი შესაბამისი კოეფიციენტების და მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გათვალისწინებით. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლება აქვთ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომელთაც მოპოვებული აქვთ უმაღლესი განათლების მიღების უფლება იმ ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, რომელშიც მიღებული აქვთ საშუალო ან მისი ეკვივალენტური განათლება.

პროგრამის მოკლე აღწერა	ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში დაცულია ბალანსი საბაზისო, სოციალურ, ფარმაცევტულ და სამედიცინო სასწავლო კურსებს შორის, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისებას. კურიკულუმი შედგენილია მოწინავე ქვეყნების გამოცდილებათა გათვალისწინებით. სწავლების პირველი საფეხურის დასრულების შემდეგ სტუდენტი აბარებს ინტეგრირებულ გამოცდას პროფილურ დისციპლინებში და ენიჭება ფარმაციის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. მას შეუძლია იმუშაოს პრაქტიკულ ფარმაციაში ან სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში. ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობა 4 წელია ანუ 8 სემესტრი და ითვალიწინებს **240 ECTS** კრედიტის შესრულებას • **104 კრედიტი** – საბაზისო და ზოგად – ტრანსფერული სასწავლო კურსები, მათ შორის - 48 კრედიტი – საბაზისო სამედიცინო სასწავლო კურსები; - 40 კრედიტი - ზოგად–ტრანსფერული სასწავლო კურსები; - 11 კრედიტი – უცხოური ენა; - 5 კრედიტი – სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული სასწავლო კურსები. • **94 კრედიტი** – პროფილური სასწავლო კურსები; • **30 კრედიტი** – ფარმაციის ინტეგრირებული მოდული; • **12 კრედიტი** - არჩევითი სასწავლო კურსები.
სტუდენტის მიღწევების შეფასების სისტემა	სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N 3 ბრძანების შესაბამისად. უნივერსიტეტში მოქმედებს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS), რომელიც არის სწავლის შედეგებზე, სასწავლო პროცესის გამჭვირვალობაზე დაფუძნებული და სტუდენტზე ორიენტირებული სისტემა. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს სასწავლო ერთეულების დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებას/ცნობას, აგრეთვე სტუდენტთა მობილობას. შეფასების კომპონენტებია შუალედური შეფასება და დასკვნითი შეფასება, მათი ჯამი განსაზღვრავს სტუდენტის საბოლოო შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა, რაც წარმოადგენს შუალედური შეფასებების (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 31 ქულა) და დასკვნითი შეფასების ჯამს. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მინიმალური დადებითი შეფასების ჯამით შეიძლება დაუგროვდეს 51 ქულა. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება სტუდენტის მიერ მინიმუმ 20 ქულის (გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50% და მეტი) მიღების შემთხვევაში.

	სტუდენტის მიერ გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს: ა) შუალედურ შეფასებას, რაც წარმოადგენს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული ცოდნის შეფასების მეთოდების/ნაწილების (სტუდენტთა ყოველკვირეული/ ყოველდღიური მიმდინარე აკადემიური, პრაქტიკული აქტივობები, პრეზენტაცია/ები, კოლოკვიუმ(ებ)ი და სხვ.) მიხედვით მიღებულ ქულათა ჯამს და განისაზღვრება 0-60 ქულით. ბ)დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სასწავლო კურსის/ მოდულის მაქსიმალური შეფასების 100 ქულიდან დასკვნითი გამოცდის მაქსიმალურ შეფასებას ეთმობა 0-40 ქულა. შეფასების სისტემით დაშვებულია ხუთი სახის დადებითი და ორი სახის უარყოფითი შეფასება. ➢ **დადებითი შეფასებებია:** (A) ფრიადი – 91-100 ქულა, (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა, (C) კარგი – 71-80 ქულა, (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა,; (E) საკმარისი – 51-60 ქულა. ➢ **უარყოფითი შეფასებებია:** (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ხელახლა აქვს შესასწავლი. ცალკეულ სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასებისათვის დადგენილი დამატებითი მოთხოვნები დეტალურადაა აღწერილი შესაბამის სილაბუსში და ცნობილია სტუდენტებისათვის.
სწავლის შედეგები	**ცოდნა და გაცნობიერება** ✓ იცის საბაზისო და ბიოსამედიცინო სასწავლო კურსები და შეუძლია კრიტიკული გააზრება ფარმაცევტულ სასწავლო კურსებთან მიმართებაში; ✓ იცის პროფილური სასწავლო კურსები ფარმაცევტული საქმიანობის განხორციელებისათვის; ✓ იცის ფარმაცევტული ნედლეულის, პროდუქციის დამზადების, ანალიზის, სტანდარტიზაციის მნიშვნელობა ეფექტიანი, უსაფრთხო, და ხარისხიანი ფარმაკოთერაპიის განხორციელებისათვის. **უნარი** ✓ შეუძლია სამკურნალო ნედლეულის, სუბსტანციის, ფარმაცევტული პროდუქციის დამზადება და სერიული წარმოება;

	✓ შეუძლია სამკურნალო ნედლეულის, სუბსტანციის, სამკურნალო საშუალებების ანალიზის ჩატარება, ხარისხის კონტროლი, სტანდარტიზაცია, ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის ჩატარება; ✓ შეუძლია ფარმაცევტული საქმიანობის განხოციელების პროცესში მონაცემების შეგროვება, კრიტიკული ანალიზი და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება. წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტის გზების შესახებ ანგარიშის მომზადება/წარდგენა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით; ✓ შეუძლია კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად და სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე. **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** ✓ პროფესიულ საქმიანობაში საკუთარი საკუთარი ადგილის, როლისა და პასუხისმგებლობის გააზრებით, მონაწილეობს სამკურნალო საშუალებათა წარმოების, ხარისხის კონტროლის, დისტრიბუციის, ფარმაცევტული ზრუნვისა და რაციონალური ფარმაკოთერაპიის ახალი სტანდარტების დამკვიდრებაში; ✓ საკუთარი ცოდნისა და უნარების ობიექტური შეფასების საფუძველზე, უწყვეტი პროფესიული განვითარების მიზნით დამოუკიდებლად განსაზღვრავს და დაგეგმავს სწავლის საჭიროებას.
კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები	ფარმაციის ბაკალავრს შეუძლია მიღებული ცოდნის და უნარ-ჩვევების საფუძველზე კომპეტენციის ფარგლებში დასაქმდეს: ✓ ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში; ✓ ფარმაცევტულ კომპანიაში; ✓ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში; ✓ ფარმაცევტულ საწარმოში; ✓ წამლის ხარისხის უზრუნველყოფის, სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს ლაბორატორიაში; ✓ ფარმაცევტულ ბაზაში; ✓ აფთიაქში; ✓ ქიმიური რეაქტივებისა და სამედიცინო ტექნიკის დაწესებულებაში.